

შპს “გრატო პასაჟი“

სნ 205174283

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ძირითადი საქმიანობა -----	3
2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა -----	4
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	9
4. მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	10
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----	11
6. ფულადი ნაკედების მოძრაობის ანგარიშგება -----	12
7. ახსნა–განმარტებითი შენიშვნები -----	13
8. სხვა ინფორმაცია -----	18

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „გრატო პასაჟი“ (რეგისტრაციის მომენტში სახელწოდებით შპს „ტექს ლუქსი“) დაარსდა 2006 წლის 11 სექტემბერს შპს „ტექს ჯგუფის“ (სნ 205012671) მიერ (100% წილის მფლობელი), ქალაქ თბილისში. 2008 წლის 14 თებერვლის კრების ოქმის საფუძველზე კომპანიის დამფუძნებელმა გასხვისა კუთვნილი წილიდან ფიზიკურ პირებზე: 80% გიორგი მიქელაძე (პირადი #01025004326) და 20% ვალერიან ტოგონიძე (პირადი #01025007069). 2008 წლის 06 ივნისს კრების ოქმის საფუძველზე კომპანიას გადაერქვა სახელი და ამ თარიღიდან ფუნქციონირებს როგორც შპს „გრატო პასაჟი“.

იურიდიული პირი „ გრატო პასაჟი“ შექმნილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომლის საფირმო სახელწოდებაა „გრატო“.

იურიდიული მისამართია : მერაბ კოსტავას 37-39, საოფისე ფართი #607. ქ. თბილისი, საქართველო

ფაქტობრივი მისამართია: მერაბ კოსტავას 37-39, საოფისე ფართი #607, ქ. თბილისი, საქართველო

მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი : 205174283

დღგ-ს რეგისტრაციის თარიღი: 26.11.2007

დირექტორი: ვალერიან ტოგონიძე

შპს „გრატო პასაჟი“ ფლობს კომერციულ ფართებს მისამართზე- მერაბ კოსტავას ქ. #37-39, ქ.თბილისი. ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკუთარი კომერციული ფართების ნაწილის გაქირავებას.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 540 145,84 ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 8 ადამიანი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. იწყება 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვევით:

2.1 მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გასაჯაროების და ვებ გვერდზე reportal.ge ატვირთვის მიზნით.

კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. მოცემული კანონის თანახმად კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მუხლების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებულ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში მსს ფასს) და მათი მომზადების კონცეპტუალურ საფუძვლებთან, თუ ქვევით ჩამოყალიბებულ ცალკეული ფინანსური ელემენტების სააღრიცხვო პოლიტიკაში არ იქნა სპეციფიკურად სხვაგვარად მინიშნებული.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია მსს ფასს–ებით განმარტებული დარიცხვისა და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპები.

აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისას გამოყენებულია მსს ფასს–ების კონცეპტუალური საფუძვლებით განმარტებული პირვანდელი ღირებულების მეთოდი.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ცალკეული ფინანსური ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვევით.

2.2 შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების სავარაუდო ღირებულება.

2.3 ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლით კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

აშშ დოლარის გაცვ.კურსი	2022	2021
01 იანვარი	3,0892	3,2766
31 დეკემბერი	2,702	3,0976

2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისთვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. უძრავი ქონება ბალანსზე ირიცხება ცალ-ცალკე ჯგუფებად, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა მათი გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მიხი მოხდენისთანავე.

2.5 მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ჩამოწრა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევაში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

2.6 საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 5 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-ით გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებით განსჯა საქიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

2.7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება შესაბამისად მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად.

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათ გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება შესაბამისად მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად.

2.9 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალის უწყისში.

2.10 იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ იმნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება, როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების უცირესი თანხით.

2.11 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

2.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

2.13 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა

მოხდეს ნეტო სიდიდით ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.14 სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

2.15 კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. 2010-2011 წლების განმავლობაში ძირითადი საშუალების მშენებლობისთვის კომპანიას ჰქონდა აღებული როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო სესხები, შესაბამისად კომპანიის საქმიანობა საწყისი ნპერიოდისთვის სრულად დაფინანსებულია სასესხო ვალდებულებებით.

2.16 ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

2.17 ბალანსის შედგენის შემდგომი თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		შპს გრატო პასაჟი	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)			
	სკოლა შენა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	1,143,286	2,407,424
საინვესტიციო ქონება		1,154,990	1,154,990
ბიოლოგიური აქტივი		-	-
მისაღები სესხი		1,588,210	1,646,602
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		1,726,197	1,604,046
სავაჭრო გრძელვადიანი მოთხოვნები	17	636,351	635,693
		6,249,034	7,448,754
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	6,656	37,095
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	441,531	113,208
მარაგები	6	-	-
		448,187	150,303
მთლიანი აქტივები		6,697,221	7,599,057
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		540,146	540,146
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(11,628,415)	(13,438,987)
		(11,088,270)	(12,898,841)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	7,135,732	8,321,111
გრძელვადიანი გადასახდელი პროცენტი	7	9,973,357	10,775,754
სავაჭრო და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	16	402,153	-
ანარიცხები		-	-
გადავადებული შიმოსადალი		-	-
		17,511,242	19,096,865
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	7	92,249	4,134
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	174,084	237,326
სხვა ვალდებულებები	8	7,915	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	4,584
გადასახდელი პროცენტი მოკლევადიანი		-	-
		274,248	246,044
მთლიანი ვალდებულებები		17,785,490	19,342,909
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,697,221	6,444,068
დირექტორი:			
	3. ტოგონიძე		
მთ.ბუღალტერი:			
	ნ. ძაძამია		

შპს გრატო პასაჟი

**მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ლარი)**

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	9	473,311	537,868
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		473,311	537,868
სხვა შემოსავლები	10	-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(396,013)	(382,660)
მიწოდების დანახარჯები	12	-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	2,347,200	996,672
სხვა ხარჯები	14	-	-
საოპერაციო მოგება		2,424,498	1,151,880
ფინანსური შემოსავალი	15	164,209	172,478
ფინანსური ხარჯი	15	(765,319)	(727,349)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(601,110)	(554,871)
მოგება დაბეგვრამდე		1,823,387	597,009
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		1,823,387	597,009
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,823,387	597,009
დირექტორი:	3. ტოგონიძე		
მთ.ბუღალტერი:	ნ. ძაძამია		

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს გრატო პასაჟი

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 01 იანვარი	540,146	-	(14,048,812)	(13,508,666)
წმინდა მოგება	-	-	597,009	597,009
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	597,009	597,009
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	540,146	-	(13,451,803)	(12,911,657)
წმინდა მოგება	-	-	1,823,387	1,823,387
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,823,387	1,823,387
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	540,146	-	(11,628,416)	(11,088,270)

დირექტორი: 3. ტოგონიძე

მთ.ბუღალტერი: ნ. ძაძამია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
შპს გრატო პასაჟი

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	2022	2021
საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა	553 060	590 355
როიალტი, ჰონორარი, საკომისიო და სხვა შემოსავლები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები	(355 720)	(343 578)
გადახდილი ხელფასები	-	-
გადახდილი გადასახადები	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	197 341	246 777
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
სხვა საწარმოს წილის შეძენა	-	-
გაცემული სესხიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	55 033
მიღებული პროცენტი	34 997	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-
არამატერიალური აქტივების რეალიზაცია	-	-
სხვა საწარმოს წილის რეალიზაცია	-	-
გაცემული სესხი	(14 248)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	20 749	55 033
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	115 387
სესხების მიღება	-	9 010
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
სესხების დაფარვა	(151 932)	(261 904)
გადახდილი პროცენტი	(98 178)	(138 963)
გადახდილი დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(250 110)	(276 470)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	(32 020)	25 340
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	1 581	(1 935)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	37 095	13 690
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	6 656	37 095

დირექტორი: ვ. ტოგონიძე

მთ.ბუღალტერი: ნ. ძამამია

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 3
ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	დაუმთავრ ებელი მშენებლობ ა	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	სხვა არამატერი ალური აქტივები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილ ობა	სულ
ისტორიული ღირებულება	128 700	3 829 467	-	-		210 461	4 168 628
პერიოდის ცვეთა	-	(1 477 228)	-	-		(169 794)	(1 647 022)
წმინდა საბალანსო ღირებულება							-
01 იანვარი 2021	128 700	2 352 239	-	-	-	40 668	2 521 607
შემოსვლა	-	-	-	-		11 065	11 065
პერიოდის ცვეთა	-	(117 613)	-	-		(7 634)	(125 247)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	128 700	2 234 626	-	-	-	44 098	2 407 425
შემოსვლა	-	9 086	-	-		1 402	10 487
პერიოდის ცვეთა	-	(112 825)	-	-		(6 811)	(119 636)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	128 700	2 130 887	-	-	-	38 689	2 298 276

შენიშვნა 4**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	6,656	37,095
უცხოური ვალუტა ბანკში	-	-
სულ	6,656	37,095

შენიშვნა 5**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	271,862	572,655
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-
გადახდილი ავანსები	169,668	176,245
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	-
სულ	441,531	748,901

შენიშვნა 6**მარაგები**

	2022	2021
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	-	-
მარაგები	-	-
სულ	0	0

შენიშვნა 7**სესხები**

	2022	2021
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	511,988	741,775
არასაბანკო სესხები	6,484,779	7,432,626
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი	138,965	146,105
გრძელვადიანი გადასახდელი პროცენტები	9,973,357	10,775,755
სულ სესხები	17,109,089	19,096,260
მოკლევადიანი		
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი-მოკლევადიანი	4,134	4,739
სხვა მოკლევადიანი გადასახდელი პროცენტი	88,115	88,115
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	-
ფინანსური იჯაოს ვალდებულება (მოკლევადიანი ნაწილი)	-	-
	92,249	92,855
სულ სესხები	17,201,338	19,189,114

შენიშვნა 8**სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები**

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	9,708	237,326
მიღებული ავანსები	172,291	-
გადასახდელი ხელოფასები	-	-
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
სულ	181,999	237,326

შენიშვნა 16**სავაჭრო და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები**

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები (მომწოდებლებთან)	402,153	237,326
	-	-
სულ	402,153	237,326

შენიშვნა 17**სავაჭრო გრძელვადიანი მოთხოვნები**

	2022	2021
დებიტორული დავალიანება გრძელვადიანი	636,351	635,693
	-	-
სულ	636,351	635,693

შენიშვნა 9**ამონაგები**

	2022	2021
საქონლის გაყიდვა	-	-
მომსახურების გაწევა	473,311	537,868
სულ	473,311	537,868

შენიშვნა 10**სხვა შემოსავალი**

	2022	2021
არასაოპერაციო მოგება	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	-
სულ	0	0

შენიშვნა 11**ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები**

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	202,667	188,185
მივლინების ხარჯები	-	-
სხვა ხარჯი	20,917	13,541
საწვავი	-	-
ტრანსპორტირების ხარჯი	-	-
საგადასახადო ხარჯი	22,795	19,877
ოფისის ხარჯი	25,524	26,092
საიჯარო ქირა	4,474	4,933
საეჭვო მოთხოვნის ანარიცხები	-	-
დაზღვევის ხარჯი	-	-
რემონტი	-	4,785
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	-	-
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	119,636	125,247
სულ	396,013	382,660

შენიშვნა 12**მიწოდების ხარჯები**

	2022	2021
რეკლამის ხარჯი	-	-
მარკეტინგული ხარჯი	-	-
დისტრიბუტორების შრომის ანაზღაურება	-	-
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	-	-
სულ	-	-

შენიშვნა 13**სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო**

	2022	2021
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2,336,059	1,035,577
სხვა ფინანსური შემოსავალი/ზარალი	11,141	(38,905)
სულ	2,347,200	996,672

შენიშვნა 14**სხვა ხარჯები**

	2022	2021
სხვა არასასაქონლო ხარჯი	-	-
სულ	-	-

შენიშვნა 15**ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები**

	2022	2021
ფინანსური ხარჯი- დარიცხული პროცენტი	(765,318.89)	(727,348.44)
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-	-
სულ ფინანსური დანახარჯები	(765,319)	(727,348)
ფინანსური შემოსავალი-დარიცხული პროცენტი	164208.66	172477.44
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	0	-
სულ ფინანსური შემოსავალი	164,209	172,477
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(601,110)	(554,871)

სხვა ინფორმაცია

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს ვანის სათბურების ხელმძღვანელობა. თანდართული ინფორმაცია მოიცავს :

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად;
 - ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
 - დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამოებები და დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელების მიერ 2023 წლის 29 სექტემბერს და ხელმოწერილია. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

დირექტორი: ვ.ტოგონიძე



მთ. ბუღალტერი: ნ.ძამაძია